



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომის  
ოქმი N7**

**ქ. ლანჩხუთი**

**15. 06. 2018 წელი**

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** **ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვამე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუცკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა საკითხი. მან მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

**მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ რადგან დღის წესრიგის პროექტში მე-2, მე-3 და მე-5 საკითხის მომხსენებელი არის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, ამიტომ მე-5 საკითხი განეხილათ მე-4 საკითხად, რაზეც ბიუროს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/*

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 5 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

6. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

**მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

**საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 28 ივნისი, 11:00 საათი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**, მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 3 მაისის N952 განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2558849 ლარი; მათ შორის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 942278 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აკეთის, აცანის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, მამათის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების, რკინა ბეტონისა და ასფალტო - ბეტონის საფარის მოწყობა 768297 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია 848274 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N957 განკარგულებით სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 180000 ლარი. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე გამოყოფილი თანხა მიიმართება სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალა შეუმცირდეს სუბსიდირების დაფინანსება 17800 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 17800 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** ასევე აღნიშნა, რომ განსახილველ პროექტში არ არის წარმოდგენილი საკითხი, რომელიც ეხება ინფრასტრუქტურული პროექტების 5 %-იან თანადაფინანსებას. ამასთან დაკავშირებით სამუშაო პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოო პასუხი ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი. ხოლო ისეთი საკითხები, როგორცაა საფეხბურთო კლუბის დავალიანება - 30000 ლარი და სხვა ღონისძიებები, განხილვის სტადიაშია. ამ ეტაპისთვის შეთანხმება არ არის მიღწეული და სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მიღებულ იქნება დადებითი ან უარყოფითი პასუხი. ძირითადად საუბარი და მსჯელობა მიმდინარეობს არაფინანსური აქტივების კლებასთან (გაყიდვის) დაკავშირებით.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე, **ლელა ჩახვაძე** დაინტერესდა, რატომ ხდება ცვლილება ბიუჯეტში, როცა მისი თქმით, ტენდერები უკვე დასრულებულია.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** განმარტებით, როცა თანხა გამოიყოფა მთავრობის მიერ, პროცესი მიმდინარეობს როგორც ხელშეკრულებებთან, ასევე ტენდერებთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოოდ უნდა აისახოს ბიუჯეტში. აქ რაიმე კანონდარღვევას არ აქვს ადგილი, რადგან ფინანსები უკვე გამოყოფილია მთავრობის დადგენილებით.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება – კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“. 3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება, შენობა-ნაგებობები, კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.11.45.083), მამათის ადმინისტრაციული ერთეულში (ს/კ 27.01.42.015), ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.14.48.020), ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.12.41.004), ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.13.42.001) და აცანის ადმინისტრაციული ერთეულში (ს/კ 27.02.44.233) სადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები. შესაბამისად აღნიშნული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის“ (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ი)პ-ის ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის პირდაპირი

განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის დავით წერეთელის 2018 წლის 23 აპრილის N74 მომართვის (წარმოგიდგინებ დანართის სახით) საფუძველზე მოამზადა ზემოაღნიშნული

განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში მდებარე 1128 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 412.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობა - კულტურის სახლი (ს/კ 27.15.52.012) ) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო

(არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ამხანაგობა „2016“-ის (ს/კ 233734386), წევრმა თამარ ჯიჯიეშვილმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ აკეთში მდებარე 54 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 34.2 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.03.44.309) ) სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა ასევე თანდართულ დოკუმენტად წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება (14.06.2016წ, N3103626), ამხანაგობის ერთ-ერთ წევრ გოჩა ღლონტსა და სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროექტ „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებს შორის, რომლითაც ამხანაგობას მიღებული აქვს თანადაფინანსება 9900 (ცხრა ათას ცხრაასი) ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4

და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ზემოთ აღნიშნული

მუნიციპალიტეტის ქონება(აუქციონის გარეშე) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ამხანაგობა „2016“-ს, რომელიც თანადაფინანსებით აპირებს პურის საცხოვრის მოწყობას და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება შენობა-ნაგებობა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, **გიორგი ფაცურიას** თქმით, ეს ქონება აღნიშნულ მეწარმეს მიცემული ქონდა 2 წლით. მას შესთავაზეს ფართის შესყიდვა, მაგრამ მეწარმემ ითხოვა ქონების 1 წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მკვიდრი, აკაკი მურვანიძის საკითხი ჯერ კიდევ მუნიციპალიტეტის წინა გამგებლის დროიდან დგას. მოქალაქეს არანაირი ქონება სახლის და სხვა რაიმე სახით არ გააჩნია. სარეიტინგო ქულა აქვს 1000. ის ერთდროულად დაავადებულია რამდენიმე მძიმე დაავადებით, მათ შორის-ონკოლოგიურით. ეს პიროვნება 80-იანი წლებიდან ფლობს „გალფი“-ს ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარე ბინაში ერთ ოთახს, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ აღნიშნულ სამინისტროში გაგზავნილი წერილის საფუძველზე ქონება გადმოეცა მუნიციპალიტეტს. კანონის თანახმად, მუნიციპალური ქონება პიროვნებას საკუთრებაში ვერ გადაეცემა, არამედ შესაძლებელია 2 წლით სარგებლობის უფლებით გადაცემა. სამი დღის წინ შემოტანილ იქნა განმეორებითი წერილი მუნიციპალიტეტის მერიაში, რომელიც დაეწერა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ ერთობლივი წერილით, მიმართოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა მან დაიბრუნოს აღნიშნული ქონება, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ფართი გადაეცეს აკაკი მურვანიძეს. წერილს შესაბამისად დართული ექნება ცნობა მოქალაქის სარეიტინგო ქულის და ჯანმრთელობის შესახებ, ასევე სხვა სათანადო დოკუმენტაცია.

საკითხის თაობაზე ასევე საქმის კურსშია ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი, ნინო წილოსანი, რომლის მხრიდან არის დაპირება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ საკითხი გადაწყდეს დადებითად.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **მამუკა ვადაჭკორიამ** აღნიშნა, რომ მსგავს შემთხვევას ადგილი ქონდა ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში, როცა ქონება უნდა გადაეცემოდა სახელმწიფოს, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულ ქონებას გადაეცემა მოსახლეობას, მაგრამ ამის უფლებას არ იძლევიან, არამედ უნდა განხორციელდეს პრივატიზება.

საკრებულოს თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძე** დაინტერესდა, თუ რა მიზეზმა შეიძლება შეუშალოს ხელი პრობლემის მოგვარებას.



საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** თქმით, მუნიციპალურ მფლობელობაში მყოფი ბინების ფონდის განკარგვის უფლება აქვს მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებს. აქამდე ეს ეხებოდა მარტო დედაქალაქს, მაგრამ მიდის საუბარი, რომ ასეთი უფლება მიეცეს დანარჩენ თვითმმართველ ქალაქებსაც. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებს, რომელთაც არ აქვთ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, ბინების ფონდის პირდაპირი წესით განკარგვის უფლება არ აქვთ და სწორედ ეს არის დამაბრკოლებელი მიზეზი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 5 თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ დადებითი ტენდენცია გახლავთ ის, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი წინა პერიოდთან მიმართებაში გაიზარდა 500000 ლარით. ზოგადად, ყველა ღონისძიება ხორციელდება იმ ლიმიტის ფარგლებში, რაც წინასწარ იყო განსაზღვრული. გასული 5 თვის განმავლობაში აბსოლიტურად ყველა ვალდებულება, რაც მუნიციპალიტეტს ქონდა აღებული, შესრულებულია. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თქმით, შემოსავლის კუთხით არაფინანსური აქტივების კლების ხარჯზე შემოსავლის ზრდა ბიუჯეტის მიღებისას არ იგეგმებოდა, მაგრამ გარკვეული აუცილებელი გარემოებების გამო მოხდა მისი გაზრდა. გარდა ამისა, გასულ წელთან შედარებით ნაკლებია ჯარიმებიდან შემოსული თანხა, რაც გარკვეულ წილად წესრიგის დაცვის

გამკაცრების შედეგია. ასეთი კვების ტენდენცია არ შეიძლება ჩაითვალოს უარყოფით ფაქტორად, არამედ ამას აქვს გარკვეული დადებითი მხარე, რადგან შესაბამისად იკლო დარღვევების რაოდენობამ.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ თავის დროზე ნაგავმზიდი მანქანებისა და ასი ბუნკერის შექმნა მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა კრედიტის ხარჯზე, რომელთან დაკავშირებით შუამდგომლობა გაწია მუნიციპალური განვითარების ფონდმა. საშეღავათო პერიოდი იყო 2019 წლამდე, მაგრამ ამჟამად ითხოვს სესხის პროცენტის გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს დაეკისრება ჯარიმა. ყოველივე ეს არის გარკვეული შეუსაბამობა, მაგრამ ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. საუბარია 38000 ლარზე. ფაქტია, ასე არ უნდა ყოფილიყო, რომ სარგებლის პროცენტი ძირითად სესხზე ადრე იწყებს გადახდას. მუნიციპალიტეტის მიერ გაზზავნილია შესაბამისი წერილი, მაგრამ პასუხი ჯერ-ჯერობით არ არის.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, ხელშეკრულებაში მითითებული იყო თუ არა თავიდან ეს ფაქტი და მუნიციპალიტეტს იურიდიული კუთხით გააჩნია თუ არა თავდაცვის რაიმე მექანიზმი ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თქმით, ხელშეკრულება გაწერილია 10 წელზე, ზოგადად, აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით ასეთი დამოკიდებულება ხორციელდება სახელმწიფოს მასშტაბით და არა მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიმართ. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ამ კუთხით პროცენტის თანხა უკვე გადაიხადა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 5 თვის შესრულების ანგარიში.**

#### **სხვადასხვა საკითხები:**


საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჯურუყვეთში, ნიგვზიანში, ახალსოფელში, ლესაში, ჩიბათში, გვიმბალაურში დაზიანებულია საყანე ფართობებისა და საძოვრების ღობეები, რის შედეგადაც პირუტყვი ანადგურებს უკვე დათესილ საყანე ფართობებს, რაც მოსახლეობას უქმნის ძალიან დიდ პრობლემებს და იწვევს მათ უკმაყოფილებას. საკითხთან დაკავშირებით შედგა შეხვედრა ჩინური კომპანიის ხელმძღვანელობასთან, რომელსაც ასევე ესწრებოდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი ბაქარ ბაბუხარდია, რომლის თქმითაც მათი მხრიდან მოხდება მეველეების შრომითი ანაზღაურების დაფინანსება, მაგრამ აუცილებელია მუნიციპალიტეტის მასშტაბით დროულად იქნას დათვლილი და მიწოდებული ინფორმაცია ისეთი ადგილების შესახებ, სადაც საჭიროა მეველეების მეთვალყურეობა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის, **ბესიკ კუპრაძის** თქმით, მომრავლდა საავტომობილო ტრასაზე საქონლის დაღუპვის ფაქტები. ამასთან, ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად უფრო ინტენსიური გახდა მანქანების მოძრაობა. დეპუტატი დაინტერესდა, გააჩნია თუ არა რაიმე მექანიზმი მუნიციპალიტეტს, რომ ეს პრობლემა როგორმე მოგვარდეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ამ კუთხით გაკეთდება ყველაფერი, რაც მუნიციპალიტეტის მხრიდან არის შესაძლებელი. კემოდ, ასეთ პრობლემატურ ადგილებში შეიძლება დაყენდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები.

**ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო